შეთანხმება
საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის საკითხებში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა 1999 წლის 14 აპრილის N 137 ბრძანებულებით

საქართველოს მთავრობა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

გამომდინარე საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების აუცილებლობიდან და აქვთ რა სურვილი ამ მიზნით აღმოუჩინონ ერთმანეთს რაც შეიძლება ფართო დახმარება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
ტერმინების განსაზღვრა

ამ შეთანხმების მიზნებისათვის გამოყენებული ტერმინები აღნიშნავენ:

საგადასახადო კანონმდებლობა - იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აღგენს გადასახადების სახეებს და მათი ამოღების წესს მოცემული მხარის ტერიტორიაზე და არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობასთან, ცვლილებასთან და შეწყვეტასთან.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა - მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც გამოიხატება გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობაში ან არასათანადო შესრულებაში, რაზედაც დადგენილია იურიდიული პასუხისმგებლობა.

კომპეტენტური საგადასახადო ორგანოები -

საქართველოს მიმართ - საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახური.

სომხეთის რესპუბლიკის მიმართ - სომხეთის რესპუბლიკის საგადასახადო სამსახური.

მომთხოვნი საგადასახადო სამსახური - ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური საგადასახადო ორგანო, რომელიც აყენებს მოთხოვნას საგადასახადო საკითხებზე დახმარების აღმოჩენის შესახებ (შემდგომში იწოდება მოთხოვნად დახმარების შესახებ).

მოთხოვნის მიმღები საგადასახადო სამსახური - ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური საგადასახადო ორგანო, რომელიც იღებს მოთხოვნას საგადასახადო საკითხებზე დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მუხლი 2
შეთანხმების გამოყენების სფერო

მხარეები კომპეტენტური საგადასახადო ორგანოების მეშვეობით, საგადასახადო კანონმდებლობის ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უწევენ ერთმანეთს ურთიერთდახმარებას:

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის შესახებ მოთხოვნაზე ან საინიციატივო წესით ინფორმაციის მიწოდებაში;

ეროვნული საგადასახადო სისტემის შესახებ და საგადასახადო კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებაზე ინფორმაციის მიწოდებაში;

კომპიუტერული სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოების მუშაობას;

გადასახადის გადამხდელთან და საგადასახადო ორგანოებთან მუშაობის ორგანიზებაში, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად მეთოდური რეკომენდაციების დამუშავების ჩათვლით;

კადრების სწავლებასა და სპეციალისტების გაცვლის საქმეში;

სხვა საკითხებზე, რომელნიც მოითხოვენ ერთობლივ მოქმედებას.

ამ შეთანხმების დებულებები არ ეწინააღმდეგება კომპეტენტური საგადასახადო ორგანოების თანამშრომლობას, სხვა შეთანხმებებთან შესაბამისად, რომლებიც დადებულია მხარეებს შორის.

მუხლი 3
დახმარების შესახებ მოთხოვნის ფორმა და შინაარსი

დახმარების შესახებ მოთხოვნა გაიგზავნება წერილობითი ფორმით მის განსახილველ აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად. განსაკუთრებულ შემთხვევებში დახმარების შესახებ მოთხოვნა შეიძლება მოხდეს ზეპირი ფორმით შესაძლო მოკლე დროში მისი წერილობითი დადასტურებით.

მოთხოვნა დახმარების შესახებ უნდა შეიცავდეს:

მომთხოვნი საგადასახადო სამსახურის დასახელებას;

მოთხოვნის მიმღები საგადასახადო სამსახურის დასახელებას;

მოთხოვნის მიზანს და მიზეზს;

გადასახადის გადამხდელის დასახელებას (სახელს) და მისამართს, ვის მიმართაც კეთდება მოთხოვნა;

მოთხოვნისა და მასთან დაკავშირებული იურიდიული ვითარების მოკლე გადმოცემას, განსახილველი პერიოდისა და გადასახადის კონკრეტული სახეების მითითებით.

მოთხოვნა უნდა მოხდეს რუსულ ენებზე, მხარეთა თხოვნით წარსადგენი მასალა შეიძლება გადათარგმნილ იქნეს ქართულ ან სომხურ ენებზე.

მოთხოვნის მიმღებ საგადასახადო სამსახურს უფლება აქვს გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია მიღებულ მოთხოვნაზე დახმარების შესახებ.

მუხლი 4
დახმარების შესახებ შეკითხვის შესრულების წესი

კომპეტენტური საგადასახადო ორგანოები ერთმანეთს უწევენ დახმარებას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მომთხოვნ საგადასახადო სამსახურს შეიძლება მისი თხოვნით ეცნობოს მოქმედების ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ, რომელიც ხორციელდება დახმარების შესახებ მოთხოვნის შესასრულებლად.

თუ მოთხოვნა დახმარების შესახებ შეუძლებელია შესრულებულ იქნეს მოთხოვნის მიმღები საგადასახადო სამსახურის მიერ, მაშინ მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში წერილობით ატყობინებს ამის შესახებ მომთხოვნ საგადასახადო სამსახურს დახმარებაში უარის მიზეზების მითითებით.

დახმარების შესახებ მოთხოვნის შესრულებაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ მისი შესრულება ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობას ან მოთხოვნის მიმღები მხარის პრაქტიკას.

მუხლი 5
მოცემული ინფორმაციის შინაარსი

კომპეტენტური საგადასახადო ორგანოები საკუთარი ინიციატივით ან დახმარების შესახებ მოთხოვნის საფუძველზე აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას, რომელიც შეეხება:

საწარმოების, მათი ფილიალებისა და წარმომადგენლობების რეგისტრაციას, მათი ადგილმდებარეობის, დაქვემდებარების, საკუთრების ფორმის და სხვა მონაცემების ჩათვლით.

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფო და კომერციულ ბანკებში ანგარიშების გახსნას, აგრეთვე, ამ ანგარიშებზე ფულადი სახსრების ოდენობას და მოძრაობას.

იურიდიული და ფიზიკური პირების გადასახადით დასაბეგრი ყველა სახის შემოსავლებსა და ობიექტებს, რომელიც მიღებულია მოცემული მხარის ტერიტორიაზე, გადასახადების გადახდით თანხებს და სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადით დაბეგვრასთან.

მუხლი 6
დოკუმენტებისა და სხვა მასალების წარმოდგენა

მოთხოვნის მიმღები საგადასახადო სამსახური დახმარების შესახებ მოთხოვნაზე წარმოადგენს ნორმატიულ აქტებს, დოკუმენტების დამოწმებულ ასლებს და სხვა მასალებს, რომლებიც აუცილებელია საგადასახადო კანონმდებლობის შესასრულებლად.

დოკუმენტებისა და სხვა მასალების დედნები შეიძლება გამოთხოვილ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც დამოწმებული ასლები გამოკვლევისათვის არ არის საკმარისი. დოკუმენტებისა და სხვა მასალების გადაცემული დედნები დაბრუნებული უნდა იქნეს შეთანხმებულ ვადაში.

მასალები შეიძლება მიწოდებულ იქნეს კომპიუტიზირებული ინფორმაციის სახით იმ თანმხლები ინფორმაციის დამატებითი გადაცემით, რომელიც აუცილებელია ამ მასალის განმარტებისათვის.

საჭიროების შემთხვევაში ერთი მხარის საგადასახადო ორგანოები დაამოწმებენ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა დოკუმენტებს, რომლებიც ესაჭიროება მეორე მხარეს გადასახადით დაბეგვრისათვის, ზემდგომ საგადასახადო ორგანოებთან დამატებითი

შეთანხმების გარეშე.

მუხლი 7
ინფორმაციის წარდგენის წესი

მოთხოვნა დახმარების შესახებ, დოკუმენტები, მასალები და სხვა ინფორმაცია გადაიცემა მხარეების მიერ განსაზღვრული წესის მიხედვით.
დახმარება ხორციელდება ოფიციალური თანამდებობის პირების პირდაპირი კავშირების ფარგლებში, რომელნიც განისაზღვრება კომპეტენტური საგადასახადო ორგანოების ხელმძღვანელების მიერ.

მუხლი 6
კონფიდენციალურობის დაცვა

ინფორმაცია, რომელიც ეხება კონკრეტულ გადასახადის გადამხდელს, არის კონფიდენციალური და მისი უზრუნველყოფა ხდება დაცვის რეჟიმით მოთხოვნის მიმღები საგადასახადო სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად. მიღებული ინფორმაცია მხარეების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მიზნით, რაც გათვალისწინებულია ამ შეთანხმებით, მათ შორის ადმინისტრაციული ან სასამართლოს გარჩევისათვის. სხვა მიზნებისათვის ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოთხოვნის მიმღები მხარის თანხმობით.

მუხლი 9
შეთანხმების შესრულება

მხარეები ისწრაფვიან ურთიერთთანხმობის მიღწევისაკენ საკამათო საკითხების მოწესრიგებაში,რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ შეთანხმების განმარტების ან გამოყენებისას.

მხარეები აუცილებლობის შემთხვევაში გამართავენ კონსულტაციებს ამ შეთანხმების რეალიზაციის მიმდინარეობის შეფასებისათვის და მასში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობისათვის. ასეთი კონსულტაციების ჩატარების ვადები განისაზღვრება დამატებით მხარეთა მიერ.

მუხლი 10
შეთანხმების ძალაში შესვლა და მოქმედების შეწყვეტა

ეს შეთანხმება ძალაში შედის ამისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების თარიღიდან და წყვეტს თავის მოქმედებას ექვსი თვის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობით აცნობებს მეორე მხარეს თავის განზარხვას, შეწყვიტოს მისი მოქმედება.

შეთანხმება შესრულებულია ქ. ერევანში 1997 წლის 14 იანვარს, ორ პირად, თითოეული ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა შორის შეთანხმების ქართულ და სომხურ ენებზე შესრულებულ ტექსტებთან დაკავშირებული უთანხმოების წაროჭრისას საფუძვლად მიღებული იქნება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით	სომხეთის რესპუკბლიკის მთავრობის სახელით
ირაკლი მენაღარიშილი	*ალექსანდრე არზუმანიანი*
საქართვაელოს საგარეო საქმეთა მინისტრი	სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან ბრძოლის საკითხებზე თანამშრომლობისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა 1999 წლის 14 აპრილის N 137 ბრძანებულებით

საქართველოს მთავრობა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

ხელმძღვანელობენ რა თავის სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო ვალდებულებებით, ამასთან ურთიერთინტერესებიდან გამომდინარე, საგადასახადო დანაშაულთა და სამართალდარღვევათა გამოვლენის, თავიდან აცილების და აღკვეთის ამოცანების ეფექტურად გადაწყვეტასთან დაკავშირებით,

მიანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას ამ მიზნით ყველა სამართლებრივ და სხვა საშუალებათა გამოყენებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
შეთანხმების საგანი

1. ამ შეთანხმების საგანი არის თანამშრომლობა კომპეტენტურ ორგანოებს შორის საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა გამოვლენის, თავიდან აცილებასა და აღკვეთის მიზნით ეფექტური ბრძოლის ორგანიზება, რაც მხარეთა კომპეტენტურ ორგანოების გამგებლობაში შედის.

2. ეს შეთანხმება არ ეხება მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ.

მუხლი2
კომპეტენტური ორგანოები

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის მხარეების კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:

საქართველოს მხრიდან - საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახური;

სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან - სომხეთის რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექცია.

2. კომპეტენტური ორგანოების ოფიციალური სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ამის

შესახებ.

მუხლი 3
თანამშრომლობის ფორმები

ამ შეთანხმების ფარგლებში მხარეები იყენებენ თანამშრომლობის შემდეგ ფორმებს:

იურიდიული და (ან) ფიზიკური პირების მიერ საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

ურთიერთმოქმედება საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა გამოვლენის, თავიდან აცილებასა და აღკვეთის მიმართულებით ღონისძიებების ჩატარებაში;

იურიდიულ და ფიზიკურ პირთა დაბეგვრასთან დაკავშირებული შესაბამისად დამოწმებული დოკუმენტების ასლების წარდგენა;

ინფორმაციის გაცვლა ეროვნული საგადასახადო სისტემების, საგადასახადო კანონმდებლობაში დამატებებისა და ცვლილებების შესახებ, აგრეთვე საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის მეთოდური რეკომენდაციების შესახებ;

გამოცდილების გაცვლა ინფორმაციული სისტემების შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ, რომელიც გამოიყენება საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

საქმიანობის კოორდინაციის განხორციელება და აუცილებელი დახმარების აღმოჩენა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიშობა თანამშრომლობის პროცესში, რაც გულისხმობს: მუშა ჯგუფების შექმნას, წარმომადგენლების ურთიერთგაცვლასა და კადრების მომზადებას, აგრეთვე საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების თაობაზე სამეცნიერო-პრაქტიკული კოფერენციების და სემინარების ჩატარებას.

იმ საკითხებიდან გამომდინარე, რომლებიც ეხება ამ შეთანხმების შესრულებას, მხარეთა კომპეტენტური ორგანოები უშუალოდ უკავშირდებიან ერთმანეთს.

მუხლი 4
ინფორმაციის გაცვლა საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა შესახებ

1. ინფორმაციის გაცვლა საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა შესახებ ითვალისწინებს შემდეგი მონაცემების წარდგენას:

ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების მიერ დაბეგვრისაგან თავის აცილების მიზნით შემოსავლების დაფარვის შესახებ, იმ საშუალებათა მითითებით, რომლებსაც იყენებენ ასეთ დროს საგადასახადო კანონმდებლობის დამრღვევები.

ანგარიშების გახსნის შესახებ სახელმწიფო და კომერციულ ბანკებში იურიდიული და (ან) ფიზიკური პირების მიერ და აგრეთვე ამ ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, თუ არსებობს საფუძველი, რომ ანგარიშებზე არსებობს დაფარული თანხები.

იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან ამოღებული გადასახადების თანხა და შემოსავლები დასაბეგრი ბაზის ფარგლებში, აგრეთვე ის საშუალებები, რომლებიც

გამოიყენება საგადასახადო დანაშაულებათა გამოვლენისა, თავიდან აცილებასა და აღკვეთისათვის.

2. ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარედგინება ერთი მხარის კომპეტენტურ ორგანოს მიერ მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე იმ პირობით, რომ ინფორმაციის წარდგენა არ ეწინააღმდეგება მომთხოვნი მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობასა და ინტერესებს.

თუ ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური ორგანო თვლის, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია დაინტერესებულია მეორე მხარის კომპეტენტური ორგანო, მას შეუძლია წარადგინოს ეს ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით.

მუხლი 5
ღონისძიებათა ჩატარება

მხარეთა კომპეტენტური ორგანოების ურთიერთანამშრომლობა იმ ღონისძიებების ჩატარების დროს, რაც ეხება საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა გამოვლენას, თავიდან აცილებასა და აღკვეთას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს საგადასახადო დანაშაული და სამართალდარღვევა ან ეჭვმიტანილი არიან ასეთი დანაშაულებების ჩადენაში, შეიცავს ერთობლივ დაგეგმვას, შესაძლებლობის გამოყენებას, ამ ღონისძიებათა ჩატარების მსვლელობასა და შედეგებზე ინფორმაციის გაცვლას.

მუხლი 6
დოკუმენტების ასლების წარდგენა

მხარეების კომპეტენტური ორგანოები მოთხოვნის საფუძველზე ერთმანეთს წარუდგენენ დოკუმენტების ასლებს, რომლებიც ეხება იურიდიული და ფიზიკური პირების დაბეგვრას (ანგარიშები, ფაქტურები, ზედნადები, სერტიფიკატები, ხელშეკრულებები, კონტრაქტები, ცნობები და სხვა), აგრეთვე იმ დოკუმენტებს, რომლებიც ეხება საგადასახადო დანაშაულებებს და სამართალდარღვევებს. ასლები მოწმდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით კანონით დადგენილი წესის საფუძველზე.

მუხლი 7
სამართლებრივი ხასიათის მასალების ურთიერგაცვლა

მხარეთა კომპეტენტური ორგანოები რეგულარულ საფუძველზე ახდენენ ინფორმაციის გაცვლას ეროვნული საგადასახადო სისტემების, საგადასახადო კანონმდებლობის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და დანაშაულებათა გამოძიების წარმოების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. დროულად აუწყებენ ერთმანეთს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებებისა და ახლადამიღებული ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესახებ, ასევე ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეტანილია მოქმედ სამართლებრივ აქტებში.

მუხლი 8
თანამშრომლობა ინფორმაციულ უზრუნველყოფასთან

დაკავშირებულ საკითხებზე

მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ გამოცდილების, მეთოდიკის, პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების ურთიერთგაცვლას სამეცნიერო მასალებისა, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციული სისტემების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებთან. საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის დროს.

მუხლი 9
კადრების მომზადების სფეროში თანამშრომლობა და გამოცდილების გაცვლა

მხარეთა კომპეტენტური ორგანოები თანამშრომლობენ კადრების სწავლებასა და გადამზადებაში თავის სასწავლო დაწესებულებათა ბაზაზე, ატარებენ ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სემინარებს აქტუალურ საკითხებზე საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.
ამ მუხლის ფარგლებში, თანამშრომლობის რეალიზაციის კონკრეტული ფორმები და კერძოდ, მისი დაფინანსება, განისაზღვრება შესაბამისი შეთანხმებებით, რომლებიც დადებულია მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მუხლი 10
მოთხოვნის ფორმა და შინაარსი

1. მოთხოვნა ინფორმაციის მიღების შესახებ უნდა გადაიცეს წერილობითი სახით ან ტელეტაიპის, ფაქსიმილური, ან კომპიუტერული კავშირის გამოყენებით.

გამონაკლის შემთხვევებში სატელეფონო კავშირის საშუალებით შეიძლება მიღებულ იქნეს ზეპირი მოთხოვნა, ოღონდ ეს დაუყოვნებლივ უნდა იყოს დამოწმებული წერილობით.

ტელეტაიპის, ფაქსიმილური, ან კომპიუტერული კავშირის გამოყენებისას, აგრეთვე ზეპირი შეტყობინების ჭეშმარიტებაში ან შინაარსში ეჭვის შეტანისას, მომთხოვნ კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს წერილობითი დამოწმება.

2. მოთხოვნა ინფორმაციის მიღებაზე უნდა შეიცავდეს:

მომთხოვნი კომპეტენტური ორგანოს დასახელება;

მოთხოვნილი კომპეტენტური ორგანოს დასახელება;

მოთხოვნის არსი და დასაბუთება აგრეთვე მისი შესრულებისათვის აუცილებელი სხვა მონაცემები.

ამის გარდა სისხლის სამართლის საკითხებზე ინფორმაციის მოთხოვნისას დამატებით მიეთითება:

ფაქტობრივ გარემობათა აღწერა;

დანაშაულის კვალიფიკაცია;

მიყენებული ზარალის ოდენობა.

მუხლი 11

მოთხოვნის შესრულება

1. მოთხოვნა სრულდება დაუყოვნებლივ, დაზუსტების მიზნით, თუ ეს საჭიროა მოთხოვნის შესრულებისათვის, მოთხოვნილ კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოთხოვნის დამატებითი ინფორმაცია.

2. მოთხოვნის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მოთხოვნილი კომპეტენტური ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მომთხოვონ კომპეტენტურ ორგანოს.

მოთხოვნის შესრულებაზე უარი განეცხადება იმ შემთხვევაში, თუ ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს ან უსაფრთხოებას ან ეწინააღმდეგება მოთხოვნილი კომპეტენტური ორგანოს სახელმწიფოს კანონმდებლობას.

მოთხოვნის შესრულებაზე უარის განცხადების მიზეზებზე შეტყობინება ეგზავნება მომთხოვნ კომპეტენტურ ორგანოს.

მუხლი 12
ურთიერთმოქმედება მოთხოვნის შესრულებისას

მოთხოვნა წარდგენილ კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია ნება დართოს მომთხოვნი კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს მიიღონ მონაწილეობა მოთხოვნის შესრულებაში თავის ქვეყნის ტერიტორიაზე, მათი მუშაობისათვის ყველა საჭირო პირობების უზრუნველყოფით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მისი სახელმწიფოს კანონმდებლობას.

მუხლი 13
ენები

ინფორმაციის მიღების მოთხოვნა და მასზე პასუხი დგინდება იმ ენაზე, რომელიც შეთანხმებულ იქნა მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მუხლი 14
ინფორმაციის გამოყენება

ერთი მხარის კომპეტენტური ორგანო მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით იძლევა გარანტიას იმ ინფორმაციის კონფიდენციალობაზე, რომელიც ეხება საგადასახადო დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა გამოვლენის, თავის არიდებასა და დაფარვას.

ამ შეთანხმების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება გადაცემულ იქნეს მესამე მხარისათვის ინფორმაციის მომწოდებელი კომპეტენტური ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 15
ხარჯები

მხარეთა კომპეტენტური ორგანოები გაიღებენ ხარჯებს, რომლიც დაკავშირებულია ამ შეთანხმების შესრულებასთან თავისი სახელმწიფოების

ტერიტორიაზე. დამატებითი ხარჯების გამოყოფის მოთხოვნის შემთხვევაში მათი დაფინანსების საკითხი განიხილება მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მხარეთა კომპეტენტური ორგანოები აუნაზღაურებენ ერთმანეთს თარჯიმნის ხარჯებს მოთხოვნის შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული მათ შორის. შეთანხმებული შეხვედრების დროს, თუ არ არსებობს სხვა წერილობითი შეთანხმება, მიმღები კომპეტენტური ორგანო უზრუნველყოფს და ანაღდებს ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია სხვა კომპეტენტური ორგანოს დელეგაციების მიღებასთან თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო გამგზავნი კომპეტენტური ორგანო ანაზღაურებს მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

მუხლი 16
შეთანხმების რეალიზაციის შემდგომი ზომები

მხარეთა კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლები საჭიროების შემთხვევაში ატარებენ შეხვედრებს იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ამ შეთანხმების შესრულებასთანაა დაკავშირებული.

მუხლი 17
შეთანხმების ძალაში შესვლა და მოქმედების შეწყვეტა

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ძალაში შესვლისთანავე აუცილებელი შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების თარიღიდან და წყვეტს თავის მოქმედებას ექვსი თვის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც ერთ-ეთი მხარე წერილობით აცნობებს მეორე მხარეს თავის განზრახვას შეწყვიტოს მისი მოქმედება.

შესრულებულია ქ. ერევანში 1997 წლის 14 იანვარს, ორ პირად, თითოეული ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, ამასთან, ყველა ტექსტს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა შორის შეთანხმების ქართულ და სომხურ ენაზე შესრულებულ ტექსტებთან დაკავშირებულ უთანხმოების წამოჭრისას საფუძვლად მიღებული იქნება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
ირაკლი მენაღარიშვილი	*ალექსანდრე არზუმანიანი*
საქართველოს საგარე ო საქმეთა მინისტრი	სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი